საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

ანტიკორუფციული სააგენტოები

საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა

ანტიკორუფციული სააგენტოები: ისტორია

- UNCAC (გაერო-ს ანტიკორუფციული კონვენცია): კორუფციასთან ბრძოლითა და კორუფციის პრევენციით დაკავებული ინსტიტუტების შექმნის ვალებულება
- სინგაპურისა და ჰონგკონგის ანტიკორუფციული სააგენტოების წარმატება მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში
- 1990-იანი წლებიდან ანტიკორუფიცული სააგენტოები იქმნება აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქვეყანაში

რატომ იქმნება ანტიკორუფციული სააგენტოები

- სპეციალიზაციის უპირატესობა
- კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვისა და იმპლემენტაციის კოორდინირების აუცილებლობა
- არსებული (მათ შორის სამართალდამცავი) უწყებების უუნარობა, ეფექტიანად ებრძოლონ კორუფციას

ანტიკორუფციული სააგენტოების ფუნქციები

- ანტიკორუფციული პოლიტიკის კოორდინაცია
- კანონმდებლობის ანალიზი და ცვლილებების მომზადება
- საჯარო უწყებების პრაქტიკის ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება
- თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი და ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია

ანტიკორუფციული სააგენტოების ფუნქციები

- სახელმწიფო შესყიდვებისა და პრივატიზაციის მონიტორინგი
- პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგი
- საერთაშორისო თანამშრომლობა
- კორუფციის შემთხვევების გამოძიება (ზოგიერთ ქვეყანაში სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებაც)
- კორუფციის შესახებ ცოდნის გავრცელება და საზოგადოების ინფორმირება

ანტიკორუფციული უწყების სახეობები

- კორუფციის პრევენციით დაკავებული უწყებები
  - მაკოორდინირებელი ინსტიტუტები
  - ფართო პრევენციული მანდატის მქონე ინსტიტუტები
- სამართალდამცავი ტიპის უწყებები
- მრავალფუნქციური ანტიკორუფციული სააგენტოები, რომელთა მანდატი მოიცავს როგორც პრევენციას, ისე სამართალდამცავ საქმიანობას

წარმატებული უწყების ელემენტები

- დამოუკიდებლობა (საკანონმდებლო საფუძველი, ინსტიტუციური მდებარეობა, ხელმძღვანელობის დანიშვნა-გათავისუფლების წესი, გარანტირებული დაფინანსება)

- რესურსებით უზრუნველყოფა (დაფინანსება, აპარატი)

- გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება (პერიოდული ანგარიშების წარდგენა სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტისთვის, ასევე სპეციალური საზოგადოებრივი საბჭოს არსებობა ანტიკორუფციულ სააგენტოსთან)

საქართველოს ანტიკორუფციული უწყება

საქართველოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფუნქციები:

- ანტიკორუფციული პოლიტიკის განსაზღვრა
- ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, განახლება და მონიტორინგი
- სხვადასხვა უწყების საქმიანობის კოორდინაცია ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში
- საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა.

საბჭოს დამოუკიდებელი ორგანიზაციული სტრუქტურა და აპარატი არ გააჩნია. მისი სამდივნოს ფუნქციას იუსტიციის საბჭოს ანალიტიკური დეპარტამენტი ასრულებს.

რეფორმის ვარიანტები

- არსებული მოდელის შენარჩუნება საბჭოს ორგანიზაციული სტრუქტურისა და შესაძლებლობების გაძლიერების პირობებში
- დამოუკიდებელი ანტიკორუფციული უწყების შექმნა საგამოძიებო ფუნქციის გარეშე
- დამოუკიდებელი მრავალფუქნციური ანტიკორუფციული უწყება საგამოძიებო უფლებამოსილებით